# იმერეთი

**ფასი**: წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 3 აბ. **ცალკე ნუმერი ერთი შაური.** წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

**განცხადების ფასი**: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ. 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანათი.

ოთხშაბათი 11 ივნისი

**მისამართი**: ქუთაისი, რედაქცია გაზ. „იმერეთი“ თფილისის ქუჩა, ფირალოვის თამბაქოს ქარხნის პირდაპირ შესახვევში. სახლი ოცხელისა.

ტელეფონი № 4.

№ 76 ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე 1914 № 76


ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## — „იმერეთი“ —

**ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.**

ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისათვის

**გაზეთის ფასი:**

| | |
|---|---|
| ერთი წლით | 7 მანეთი. |
| ნახევარი წლით | 4 მანეთი. |
| ერთი თვით | 3 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის | 1 შაური. |

გაზეთის წლიური დასაკვეთი ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 15 მ. 1/2 წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთის ეთმობათ წლიურათ 6 მ., ნახევარი წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზეთ. **ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით** редакція „ИМЕРЕТИ“ Гавріилу Ивановичу Дарахвелидзе **სხვა გვარად გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.**

რედაქცია უმორჩილესათ სთხოვს თავის კორესპონდენტებს კორესპონდენციები სწერონ ქაღალდის ცალ გვერდზე, გარკვევით და გაურკვევლად ნაწერი წერილები განუხილავი დარჩება. წვრილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არა კისრულობს.

---


## „რადიუმი“

ორშაბათიდან, 9 ივნისიდან, მარტო სამი დღით ახალი დიდი პროგრამა

**მხოლოდ მოზრდილთათვის**

ბავშები და მოსწავლენი არ დაიშვებიან.

**პათე ჟურნალი**

სენსაცია! შედევრ!

## სომნაბულისტი

თანამედროვე დრამა მხატვრული სერიიდან „ნორდისკისა, სამ ნაწილათ **ხანდინგას** მონაწილეობით. 1 ნაწილი: საბედისწერო დაცემა, მე-2 ნაწ. ძალა დიდი ოცნებისა, მე-3 ნაწ. ძლიერ გვიან.

## შფოთიანი ღამე

ერთი დონ-ჟუანისა. მხიარული ფარსი 3 ნაწილათ.

---

## თუთხმეტ მაისიდან გაიხსნა

კურსების მადნეული წყლის **აბანო**,

რომელიც იმყოფება გელათის სადგურის მახლობლათ, სადაც პლატფორმაა არჯავანიძის მატარებლების გასაჩერებლათ. პლატფორმიდან ას ორმოცდა ათი საჟენია აბანომდი. ქუთაისიდან მოითხოვეთ ბილეთი არჯავანიძესთან. ბილეთი პლატფორმამდი მესამე კლასის 23 კაპ. და მეორეში 7 შაური ღირს.

ზემოხსენებული **კურსების აბანო** იმყოფება მშვენიერ ბუნებით შემკულ მაღალ ადგილზე, და როგორც ნამდვილ გამოკვლეულია კურნავს მრავალს სხვადასხვა ავათმყოფობას, როგორც მაგ., ქარებს (რევმატიზმის), ტანზე დაყრილ მუწუკებს, ნერვების სისუსტეს, ბავშების საყმაწვილოს და ვენერიულ ავათმყოფობას. აგრეთვე რგებს სასმელათ კუჭის ტკივილს. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. არის სუფთა მოწყობილი ვანები, მასთან სუფთა საცხოვრებელი ოთახები და სასმელ-საჭმელი ძრიელ ზომიერ ფასებში.

პატივისცემით **გ. მ. არჯავანიძე.**

---

## ქუთაისი
## პირველი კერძო სამკურნალო

სპეციალისტი ექიმებით.

**მუდმივი საწოლებით თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.**

**ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:**

**დილით.**

ბ. ა. მირაქოვი—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული. . . . 1—2

გ. ს. ნადირაძე.—შინაგანი და ბავშის . . . . . . 10—11

ა. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო ყოველ დღე . . 11—2

მ. დ. ბეთანოვი.—კანის, ათაშანგი, ვენერ. . . . . . 12—2

გ. ა. ჭოდოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. . . . . . $12^1/_2 2$მ

**საღამოთ.**

გ. დ. ქორქაშვილი—თვალის ხუთშაბათობით . . . . $4^1/_2$—$5^1/_2$

გ. ა. ჭოდოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. . . . . $5^1/_2$—6/

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი № 53

**სამკურნალოს დირექტორი—გ. ა. ჭოდოშვილი**

---

ექიმის იკ. ბოკერიას

## საავათმყოფო

გადავიდა ახალ ბინაზე წითელ ხიდთან, მიხეილის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასაწოლ ავათმყოფებს ღებულობენ ყოველ დროს.

---

მიხეილის თავად-აზნ. საადგილ-მამულო ბანკი,

## ქუთაისში.

**ნომრები 6 და 5 პროცენტიანი გირავნობის ფურცლების**

მიხეილის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა,

**რომელიც ამოსულია სამოცდა მეთუთხმეტე ტირაჟში**

განაღდების ვადა 1914 წლის 1 ივლისს

სამოცდა მეთუთხმეტე ტირაჟი მოხდა 1914 წლის 8 მაისს 49200 მანეთის გირავნობის ფურცლებზე

სამოცდა მეთუთხმეტე ტირაჟში ამოსული გირავნობის ფურცლების პატრონებს ამ ფურცლების **პროცენტით შეუძლიათ ისარგებლონ 1914 წლის 1 ივნისამდი.**

ამ სამოცდა მეთუთხმეტე ტირაჟში ამოსული გირავნობის ფურცლების განაღდება დაიწყება 1914 წლის 1 ივლისიდან და აგრეთვე ამ დროიდან წყდება ამ ფურცლებზე სარგებლის ზრდა.

გირავნობის ფურცლების და აგრეთვე კუპონების განაღდება ხდება შემდეგ დაწესებულებაში:

ქუთაისში ბანკის კასაში, პეტერბურგში—პეტერბურგის სავაჭრო ბანკში და მის განყოფილებებში; მოსკოვსა და ვარშავაში სახელმწიფო ბანკში და ყველა მის კონტორებსა და განყოფილებებში, პეტერბურგში საურთიერთო საზოგადოებათა ცენტრალურ ბანკში, სოხუმში სოხუმის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში, მოსკოვში საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში, ქალ. მოსკოვში. მოსკოვის ვაჭართა ბანკში და მის ყველა კანტორაში ძმათა ჯამაგაროვების საბანკო სახლში და მის განყოფილებაში, პეტერბურგში.

6 და 5% გირავნობის ფურცლებში, რომელნიც მე—75-ე ტირაჟში ამოსულია, თან უნდა ქონდეს ყველა კუპონები, რომელთა განაღდების ვადა თავდება 1914 წლის 1 ივლისის შემდეგ, წინააღმდეგ შემთხვევაში იმ კუპონების ფასი, რომელიც არ აღმოჩნდება, დაკავებული იქნება გირავნობის ფურცლების გასანაღდებელ თანხიდან.

2 ნუმრები მე-75-ე ტირაჟში ამოსული ფურცლებისა:

| რა ვადიანია ფურცლები. | სერია. | 1000 მანეთიანები. | სერია. | 500 მანეთიანები. | სერია. | 100 მანეთიანები. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 6% | 3 | 34 | 3 | 99 | 5 | 154, 155, 169 და 186 |
| $43^1/_2$ | 4 | 32 | 5 | 10 | 6 | 17 და 102 |
| წლიანი. | 5 | 34 | 14 | 487,489 და 490 | 7 | 111, 112, 113 და 115 |
| | 6 | 2 | 17 | 568 | | |
| | 7 | 13 | 18 | 601 და 602 | | |
| | 8 | 239 | 21 | 651 და 654 | | |
| | 9 | 3222 | 23 | 682 და 484 | | |
| | 10 | 373 | | | | |
| | 11 | 454 | | | | |
| | 12 | 553 | | | | |
| | 13 | 609 | | | | |
| | 16 | 729 | | | | |
| | 17 | 770 | | | | |
| | 19 | 803 | | | | |
| | 20 | 816 | | | | |
| | 22 | 891 | | | | |
| | 24 | 934 | | | | |
| 5% | 7 | 496 და 521 | 10 | 623 და 624 | 14 | 1950 და 1953 |
| $19^{11}/_{12}$ | 8 | 571 და 573 | 17 | 722 | 17 | 2139 |
| წლიანი | 9 | 606 და 607 | | | | |
| | 10 | 757 და 758 | | | | |
| | 14 | 809 | | | | |
| | 15 | 838 | | | | |
| | 16 | 861 | | | | |
| 5% | 2 | 95 | 1 | 12 და 13 | 2 | 252, 253 და 254 |
| $36^4/_{12}$ | 3 | 212 | 4 | 236 და 237 | 3 | 599, 603, 604 და 605 |
| წლიანი | 8 | 712 და 713 | 5 | 286 | 4 | 794 და 806 |
| | | | 6 | 314 | 5 | 1058 და 1059 |
| | | | 7 | 361 | 7 | 1437, 1438, 1440 და 1441 |
| | | | | | 8 | 1925, 1932, 1933 და 1936 |
| 5% | | | 2 | 89 | 5 | 568, 578, 627 და 631 |
| $48^8/_{12}$ | | | 4 | 203 | 9 | 1094 და 1095 |
| წლიანი | | | 8 | 350 | 11 | 1245 და 1263 |
| | | | 13 | 446 | 12 | 1302 |
| | | | | | 17 | 1656 |

---

**დოკტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი **ვ. პ. მოსეშვილი** ჩამოვიდა და ღებულობს შინაგან და ნერვების ავათმყოფებით სნეულებს დილის 9 საათ.—ნაშუადღევის 2 საათამდი.

გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი № 6.

---

**ექიმი** **ი. ჩარექოვი** იღებს **კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს** მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს.

სხვა დროს ექიმი საავათმყოფოშია. მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

---

**ექიმი** **ა. მ. ასათიანი** ღებულობს ავათმყოფებს. **ქალის, ვენერიული** (სიფილისი) და შინაგანის. საშარდე ბუშტის გაშინჯვა ელექტრონის შემწეობით (ცისტოსკოპით).

---

**ექიმი** **ბ. ა. მირაქოვი** დაბრუნდა რუსეთიდან და გაახლო ავათმყოფების მიღება ყურის ცხვირის და ყელის.

ლევაშოვის ქუჩა საკუთარი სახლი № 19, შეიძლება ივანოვის ქუჩიდანაც № 18.

---

**ქ. ქუთაისში**

კბილის ექიმი

## ს. ა. ცეიტლინი.

ბილის და პირის ავათმყოფობა. ხელოვნური კბილების გაკეთება.

მიიღებს ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და 4—7 საათ. საღ. ბალახვანის ქუჩა. სახაზინო პალატის გვერდით.

---

ვ. უნივერსიტეტის მედიცინის

**ექიმი** **ვ. ი. კაკიტელაშვილი** საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და საშარდე სნეულებიანი) ავათმყოფების მიღება. საშარდე მილისა და ბუშტის ელექტრონით განათება (ცისტოსკოპით) ათაშანგის წამლობა 606—914, განსაკუთრებული ელექტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეტი. ელექტრონის აბაზანები. მიღება დილის 9—12 საათ. და საღ. 5—7 საათ.

**მისამართი**: ქარვასლისა და პუშკინის ქუჩის კუთხე, პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.


---

## წერა-კითხვის საზოგადოება და სოციალდემოკრატია.

ბევრს ჰგონია, ვითომ მთელი ქართველი დემოკრატია სოციალდემოკრატიის ხელში იყოს. სცდებიან. ამ პარტიის წინააღმდეგ რეაქცია თანდათან ძლიერდება: მისი მოქმედების წესმა და ტაქტიკამ ყველას მოაბეზრა თავის და ქართველი ერის უმეტესობის მიდრეკილება ეროვნული დემოკრატიისაკენ გადაიხარა.

სოციალდემოკრატიას რომ ძალა ჰქონოდა, ვარლამ გელოვანი დეპუტატად არ იქნებოდა. მათ მთელი მათი ძალების შეკრებამა და მობილიზაციამაც კი ვერ უშველა. მერე ფულიც მეტი ჰქონდათ და ორგანიზაციაც უკეთესი, ვიდრე ნაციონალ-დემოკრატებს, და მაშასადამე, მეტი ამრჩევლის მოპოვება შეეძლოთ. ეროვნულ პარტიას კი თითქმის არა ჰქონია ორგანიზაცია. შეგნებული ამრჩევლები თვითონ მოდიოდენ, რომ მხარი დაეჭირათ ეროვნული პარტიის კანდიდატისათვის.

ტყვილა ინუგეშებენ თავს სოციალ-დემოკრატები, როდესაც კენჭებს ითვლიან და იძახიან, ადმინისტრაციას რომ ქუთაისისა, და ფოთის არჩევნები არ გაეუქმებია, გეგეჭკორი გავიდოდა და, მაშასადამე, ხალხის უმეტესობა ჩვენკენ იყოო. რა მნიშვნელობა აქვს ორიოდე ზედმეტ კენჭს, მეტადრე, როცა ეს კენჭები ფულით ნაშოვარია?! და დარწმუნებული ვარ, ეროვნულ პარტიას რომ

ბევრი ფული ჰქონოდა, კენჭს იმდენს იშოვიდა, რამდენსაც კი მოისურვებდა.

დიაღ! უკანასკნელი საპარლამენტო არჩევნის დროს სოციალდემოკრატები ზნეობრივად დამარცხდენ, რადგან გაიგეს, რომ ხალხში მათ წინააღმდეგ დიდი რეაქცია წარმოშობილიყო და ზნეობრივი გამარჯვება ეროვნულ დემოკრატიას დარჩა. და, თუ გელოვანმა ნდობა ვერ გაამართლა და არაეროვნულ ჯგუფში გაითქვიფა, ეროვნული დემოკრატიის რა ბრალია!

და შემცდარია, ვინც ფიქრობს, ხალხი მუდამ სოციალდემოკრატიის ხელში იქნება და, ამიტომ, ამ პარტიას უნდა ჩავუგდოთ ხელში ჩვენი კულტურულ-ეროვნული დაწესებულებანი, რომ ის ამით მოვაშინაუროთ და ეროვნული სული ჩავუდგათო.

ეროვნულ-კულტურული დაწესებულებანი პარტიებს გარეშე უნდა იდგენ. მაგრამ, სამწუხაროდ, სოციალდემოკრატიას ეროვნულ-კულტურულ საქმეებშიაც კი პარტიული გულისთქმა და მიმართულება შეაქვს. და, ვფიქრობთ, წერა-კითხვის საზოგადოება რომ ხელში ჩაუვარდეს, ის ამ დაწესებულებას იარაღად მოიხმარს თავისი პარტიული მიზნისათვის.

ეროვნული დემოკრატია კი საზღვარსა სდებს პარტიულსა და ეროვნულ-კულტურულ მიზნებს შორის.

მაგალითად, როდესაც ვისმე მასწავლებლად აწესებს, ის კი არ აინტერესებს, სოციალდემოკრატიას ეკუთნის თუ სხვას რომელსამე პარტიას ასარჩევი პირი, არამედ მხოლოდ მისი პედაგოგიური მომზადება და სხვა პირადი ღირსება. ამიტომ წერა-კითხვის საზოგადოების მასწავლებელთა შორის ყველა პარტიისა და მიმართულების ხალხია.

მაგრამ გამგეობაში, რომელსაც ხსენებული კულტურული დაწესებულების საქმეების მოწესრიგება აბარია, ეროვნულ დემოკრატიას უნდა ჰქონდეს დათმობილი პირველი ადგილი. და მთელი ჩვენი ძალა უნდა შევკრიბოთ, რომ ხელიდან არ გამოგვაცალონ ეს ერთადერთი დიდმნიშვნელოვანი ეროვნულ-კულტურული დაწესებულება. ვიცი, სოციალდემოკრატები ნაცად ხერხს მიმართავენ და გინებით გამათრევენ, „შავრაზმელსა“, „რეაქციონერსა“, „პურიშკევიჩსა“ და სხ. მიწოდებენ, მაგრამ ეს იარაღი უკვე გაცვდა და ყოველივე მნიშვნელობა დაჰკარგა.

ლანძღვა-გინება — იგივე ტერორი, შეშინებაა! მაგრამ ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ შეშინებითა და სხვა ამგვარი საშუალებით ეროვნული დემოკრატიის ზრდის შეფერხება და დაბრკოლება შეუძლებელია. ეროვნული დემოკრატია თავისი საკუთარი, დამოუკიდებული გზით მიდის და რომელიმე სხვა, არა ეროვნული პარტიის სურვილებს როდი უწევს ანგარიშს.

მაშ ჩვენი ლოზუნგი არის: ეროვნულ-კულტურული დაწესებულებანი ეროვნული დემოკრატიის ხელში!

ისარი.

## ჩვენი პრესა.

„ს. პეტერბურგის ვედომოსტებში“ მოთავსებულია ნ. დურნოვოს შემდეგი წერილი:

„იმერეთის უძველეს სატახტო ქალაქ ქუთაისიდან, სადაც 1657 წლიდან 1814 წლამდი სცემდა მთავარი ძარღვი დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცხოვრებისა, ე. ი. იმერეთისა გურიისა, სამეგრელოსი, სამურზაყანოსი, სვანეთისა და აფხაზეთისა, ჩვენ მოგვივიდა წერილობითი განცხადება, რომლითაც მიმართეს იმერეთის საეპარქიო სიეზდის დეპუტატებმა საქართველოს ეგზარხოსს, კირ-ალექსის.

იმერეთის სამღვდელოების დადგენილება აშკარად გვითითებს იმ დიდ ბოროტებაზე, რომელიც მოჰყვა პოლიტიკან ეგზარხოსების მოღვაწეობას საქართველოში, მ. ვოსტორგოვის მეთაურობით.

ერთადერთი იმედი მხოლოდ ყოვლად შემძლე და მოწყალე ღმერთზეა არის, რომელიც არ მოისურვებს ქრისტიანობის დაღუპვას საქართველოში, და კიდევ ის, რომ სისხლი დაღვრილი 15 საუკუნის განმავლობაში წმ. სარწმუნოების და ქრისტეს გულისათვის, ამაოდ არ ჩაივლის“.

ამ წერილის შემდეგ იმავე გაზეთში დაბეჭდილია იმერეთის სამღვდელოების 55 კრების დეპუტატთა მოხსენება, რომელიც გაეგზავნა აწ უკვე განსვენებულ ეგზარხოსს საქართველოსას ალექსის.

## საერო ზეიმი

სხვა სახელი არ დაერქმევა იმ დღესასწაულს, რომელიც მოჰყვა 7 ივნისს ქუთაისში გამართულ „ევდოშვილის საღამოს“.

ჩვენ გაზეთში უკვე იყო აღწერილი ეს საღამო. ჩვენ გვინდა დავუმატოთ მხოლოდ შემდეგი:

იმისდა მიუხედავათ, რომ „ქუთათურმა ნოქრებმა“ ბოიკოტი გამოუცხადეს ამ საღამოს და „თავისიანებს“ ნება არ მისცეს დასწრებოდენ, თეატრი მაინც გაჭედილი იყო. მთელი შემოსავალი უდრიდა 527 მ. და 57 კ. ხარჯი იყო 120 მ. ამგვარად, ჩვენი მგოსანი დაჯილდოებულ იქნა არა მარტო ზნეობრივათ, არამედ ქონებრავათაც. ამოდენა შემოსავალი ჩვეულებრივ ფასებში, არც ერთ ქართულ წარმოდგენას არა ჰქონია ქუთაისში.

ამგვარად „ნოქართა“ უადგილო ბოიკოტმა დაგვანახვა, რომ ხალხი ისე არა ფიქრობს, როგორც მათ ჰგონიათ და ხალხი იგი ყოველთვის აფასებს თავის მოამაგეს, ვინც რა უნდა სთქვას და რაც უნდა ეცადოს ამ მოამაგის შეურაცხყოფას მხოლოდ ჟინიანობისათვის... „საღამოზე“ აღსანიშნავია ოთხი მომენტი.

1) ხალხის აღფრთოვანება, როცა ბ-ნმა კიტა აბაშიძემ დაამთავრა თავისი კოხტა და შინაარსიანი სიტყვა საქართველოს დღევანდელ მდგომარეობისა და მომავლის შესახებ;

2) გამოსვლა სცენაზე თვით ი. ევდოშვილისა, რომელსაც დარბაზი ძლიერის ტაშისცემითა და თაიგულ-ყვავილების სროლით მიეგება.

3) წაკითხვა ლექსისა კუპრაშვილის 6—7 წლის ქალის მიერ და

4) წაკითხვა ილია ჭავჭავაძის ლექსისა: „მესმის, მესმის, სანატრელი ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა“, რომელი ლექსიც მთელმა დარბაზმა ფეხზე ადგომით მოისმინა. (ლექსი წაიკითხა ი. ევდოშვილმა).

ვუყურებდი ამ აღფრთოვანებულ ხალხს, ვითვალისწინებდი თეატრის გარეთ, ქუჩაში, თავმოყრილ მეორე „ხალხსაც“ (ბოიკოტისტებს) და მწარეთ ვფიქრობდი: რა გვაქვს გასაყოფი, საჩხუბარი, რატომ ავყოლივართ ჩვენ პირად გულის თქმას და საერთო ძალით არ ვეკეთებთ საქვეყნო, საშვილიშვილო საქმეს მეთქი?

პასუხად ერთის მხრით ისმოდა ძლიერი ტაში ხოლო მეორეს მხრით კი ყაყანი და აურზაური.

მაგრამ როდემდის ასე, როდემდის?..

—

როგორც უკვე მოგახსენეთ, ი. ევდოშვილის საღამომ ჩინებულად, დიდებულად ჩაიარა, ავათმყოფ პოეტს იმედია გაამხნევებს ასეთი დახვედრა ქუთაისის საზოგადოებისა და წაუშლელ მადლობას დასტოვებს მის გულში...

დიახ, მადლობის ღირსია ქუთაისის საზოგადოება. ამავე მადლობის ღირსია ყოვლადსამღვდელო გიორგი, ეპისკოპოსი იმერეთისა, რომელმაც შემდეგი წერილი გამოუგზავნა ი. ევდოშვილს:

### დიდად პატივცემულო

ბ. იროდიონ!

როგორც გაზეთებიდან ამოვიკითხე, ხვალ ქუთაისის თეატრში თქვენ სასარგებლოთ იმართება საღამო. მე, როგორც არქიელი, ვერ დავესწრები, ამიტომ ამ წერილთან გაახლებთ ხუთ თუმანს, როგორც ჩემს წვლილს საზოგადოებრივ მოვალეობის აღსასრულებლათ.

აქ, ქუთაისში თქვენდამი თანაგრძნობა, ყველაზე მეტად მე მომეთხოვება, როგორც თქვენს ქიზიყელს მეზობელს (არბოშკელი ვარ) ამიტომ გთხოვთ მიიღოთ ჩემი წვლილი, არა როგორც საჩუქარი, არამედ, როგორც ჩემგნით ზნეობრივი მოვალეობის [illegible] ასრულება

დავშთები მარადის თქვენი ნიჭის პატივისმცემელი და თქვენი ჯანის განკურნების მლოცველი, ეპისკოპოსი იმერეთისა, **გიორგი** (ალადაშვილი).

6 თიბათვე, 1914 წ. ქუთაისი.

ჭეშმარიტად, ბედნიერია ის ქართველი მწერალი, რომელიც ერთგვარად უპოვის გულს, როგორც დიდს, ისე ბატარას და დღეგრძელია ის ერიც, რომელიც არ ივიწყებს თავისს მოამაგეთ...

ი. ცანი.

## იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამრევლო შკოლების მასწავლებელთა კურსებზე.

მკითხველმა საზოგადოებამ უკვე იცის, რომ სეკტემბრის რიცხვებში, სამრევლო შკოლის მასწავლებლებს დაურიგეს შკოლებში სახელმძღვანელოთ ვოსტორგოვის ცნობილი პროგრამა. მაგრამ მასწავლებლებმა ყურადღება არ მიაქციეს მას და ისევ ძველებურათ განაგრძობდენ შკოლებში მეცადინობას. ამგვარად დამარცხდენ მუნჯურ მეთოდის მოტრფიალენი, მაგრამ ახლა მათ სხვა საშუალებისთვის მიუმართავთ. ახლანდელი პედაგოგიური კურსები სწორედ იმ მიზნით მოუწვევიათ, რომ მსმენელნი მოამზადონ ამ პროგრამისთვის. ბ-ნი მკურნალი ისე სიტყვას არ წარმოსთქვამს, რომ გოგებაშვილის სახელმძღვანელო უდიერათ არ მოიხსენოს. მსმენელთა შორის დიდ უკმაყოფილებას იწვევს მისი სიტყვები, თხოულობენ ნებას კრიტიკის ქარცეცხლში გაატარონ ამ ლექტორის დებულებანი, მაგრამ ნებართვას არ იძლევიან და ამგვარად ალაგმულ მსმენელთა წინაშე ანტიპედაგოგიურ მოძღვრებას თავისუფლათ ქადაგებენ. მაგრამ რაღა გვეთქმის ვოსტორგოვის პროგრამის მომხრეებზე, როდესაც თვით სოფლის მასწავლებელთა შორის აღმოჩნდენ ისეთი პირები რომელნიც შეეცადენ სანიმუშო გაკვეთილი მუნჯურ მეთოდით გადაეცათ. ამ ცდამ ის შედეგი მოიტანა, რომ შეგირდებმა არ ინებეს ისევ გამოცხადებულიყვენ გაკვეთილებზე და კურსების მომწყობნი იძულებული გახდენ სხვა შეგირდების ძებნას შედგომოდენ. მხოლოდ, როდესაც 9 ივნისს სანიმუშო გაკვეთილებზე გვერდი აუხვიეს მუნჯურ მეთოდს და იხმარეს მშობლიური ენა, აი რა წარმოსთქვა ეპარქიის მეთვალყურესთან მასწავლებელმა ქალმა ან. გე ნავამ: — მე დიდ ნაკლულევანებათ ვთვლი დღევანდელ სანიმუშო გაკვეთილზე, რომ ქართული ენა იხმარესო. სირცხვილო! სად არის შენი სიწითლე?

საჭიროა, სოფლის მასწავლებლებმა საჯაროთ გაკიცხონ თვისი ასეთი ამხანაგები, საჯაროთ დაგმონ მუნჯური მეთოდი, ნურავის მისცემენ უფლებას შებღალონ მათი წმიდათა წმიდა, თორემ თვით საზოგადოება დაგმობს მათ საქციელს.

Mori.

# ქუთაისი.

### ახალი ამბავი.

✦ გუშინ, 10 ივნისს დილის 5 საათზე ქუთაისს ჩამოვიდა სახელმწიფო სათათბიროს წევრი ბ-ნი მაკლაკოვი. მას ნაფიც ვექილთა კორპორაციამ სადგურზე დაახვედრა თავის წარმომადგენლები ბ.ბ: კ. ჩიკვაიძე, ევგ. გეგეჭკორი, ნ. ქიქოძე, მიხ. ქორქაშვილი და ვლ. ქუთათელაძე. მაკლაკოვი სასტ. „ფრანციაში“ დაბინავდა. ბ-ნი მაკლაკოვი დღეს საოლქო სასამართლოში პრინც მიურატის სამოქალაქო საქმეს დაიცავს.

8 ივნისს ქუთაისს ჩამოვიდა კავკასიის ოლქის მზრუნველის ამხანაგი ბ-ნ ლარიონოვი, რომელმაც გამოძიება მოახდინა ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში, მასწავლებლებსა და სათანადო მთავრობისაგან დანიშნულ დეპუტატის კორიცკის შორის, მომხდარ უთანხმოების გამო. მას თან ჩამოყვა ბ-ნი კორიცკიც.

✦ ქუთ. ქართულ გიმნაზიაში, გუშინ, გარდა მერვე კლასისა, ყველა კლასში გამოცდები დასრულდა.

✦ წელს ქუთ. რეალური სასწავლებელი დაასრულა 57 კაცმა. მათში 44 ქართველია: ს. ატობაძე, ირ. ბერეკაშვილი, ვ. გვიჩია, შ. გაბადაძე, მ. გვარამია, მ. გორგაძე, შ. ვაშაძე, ს. ჯავახაძე, ს.

# ობლის აღსარება.

(ლექსისებური)

მღვნად ი. ევდოშვილს *)

... პატარა ვიყავ... სულ პაწია, უმანკო ბავში,
როდესაც მამამ — მომაკვდავმა — მკერდზე მიმიკრა
და მითხრა: „შვილო! გიანდერძებ სიტყვას უებროს: —
ერთის სიკვდილი ქვეყნისათვის სულაც არ კმარა!
იბრძოლე შენცა სიმართლისთვის... აბრძოლე სხვებიც,
ვერაგობასა მტრად გაუხდი და გაუმკლავდი,
გახსოვდეს მარად, რომ ერთობას, თავისუფლებას
ქვეყნად ამყარებს, ქვეყნათა ჰქმნის შრომა დიადი!
ფიქრი და აზრი გაიწმინდე გაიფაქიზე,
გული და გრძნობა შეუწონე ერის მომავალს,
ნუ გაამრუდებ, ნუ წაჰბილწავ ქვენა-გრძნობებით
გზას სასიცოცხლოთ დანიშნულსა, გზას შენგან სავალს!
იყავ მამაცი... მხნე და გამრჯე, დაუზარელი,
გრწამდეს ცხოვრების გარდუვალი აზრი და მცნება...
ნუ შეგაშინებს ნურც სიმშილი, ნურცა წყურვილი...
ერთხელ შობილი, შვილო ჩემო, ერთხელვე კვდება!..
კი... მაცდური არის ვნებათ-ღელვა... სულიც ტკბილია,
დუხჭირ ქვეყანას ბევრი გული შეუწირნია
და გოლგოთაზე, თხემის ადგილს, ადგილს დაწყევლილს,
ბევრს ტანჯულ დედას შვილი თვისი დაუტირნია!
მაგრამ რას აქნევ, შენ, სიცოცხლეს, სიცოცხლეს ნაძრახს? —
იცოდე, შვილო, წუთისოფლად მან გაიმარჯვა,
ვინც მოძმისათვის, მაშვრალთათვის თავი გასწირა,
ოცნების ცეცხლით განიწმინდა და დაიტანჯა.
მეც ტანჯვამ მშობა, ტანჯვის ცეცხლმა გამაფოლადა,
ტანჯულ ქვეყანას ჩემი ტანჯვაც ზედ დავუმატე,
თუმც ისე განვვლე გზა ცხოვრების, გზა ეკლიანი,
რომ ხალხთ სიკეთეს ვერაფერი ვერ მივუმატე!..
სიღარიბემა, სხვის მონობამ, სხვის სამსახურმა
წელში გამტეხა, გამათეთრა, გამაჭაღარა,
უმადლო შრომამ, საზარელმა დღისა სიცხადემ
გული მომიკლა, ოცნებანი მთლად დამილარა!
მიყვარდა მეცა... მრწამდა ზეცაც, მრწამდა ქვეყანაც,
მრწამდა სიკეთე, მრწამდა ხალხი და სათნოება,
მაგრამ ვერ მივწვდი საწადელსა!.. დამხმარეთ ნაცვლად
წინ მიდგებოდა შური, მტრობა და დამონება!..
ოხ, ეს მონობა! კაცის პირუტყვათ გარდამქცევი, დამმცირებელი,
ხალხთ-ნათესავის დიდი მტერი, მტერი ძლიერი,
როს მოისპობა?.. როს დადგება ის დრო და ხანა,
რომ აღარ იყოს ქვეყანაზე ჩაგრული ერი?!.
იყავ უფალი შენის თავის, ნუ ეკრძალვი სხვას,
გიყვარდეს მოძმე და ქვეყანა, — შენი სამშობლო, —
იყავ მართალი, ნურც იმონებ და ნურც ემონვი! —
ეს არის ტრფობის და სიცოცხლის თავი და ბოლო!..
ესა სთქვა მამამ... დამაცქერდა უკანასკნელად,
ამოიოხრა, გაიზმორა, კვლავ დაიგმინა
და ჰკანუტევა სული თვისი მრავალ-ტანჯული.
დამარხეს მამა... მომეშალა კერა და ბინა...
დავრჩი ობლათა, უპატრონოთ... სხვის კარეითათ,
ცხოვრების დღენი გამიმწარდა იმავ თავითვე,
ყველა ცდილობდა დავემონე, მხეცათ ვექციე
და... ამ ყოფაში დღეს დღე სდევდა, თვეს — კვლავ მწარე თვე.
დრონი გარბოდენ... ღამე ბნელი სულს მიწუხებდა,
დღისით ხომ ფიქრი არ შემეძლო ჩემს მომავალზე...
სხვისთვის ვშრომობდი... შრომა ჩემიც სხვას ეკუთვნოდა,
მისთვის ვზრუნავდი დღეცა, ღამეც, მზის დასავალზეც!
ჯურღმულში მყოფსა, უკუნეთით გარემოცულსა
გამიტყდა გული, სულმა შფოთვა დამიწყო მწარეთ!..
მიმოვიხედე ჩემ გარშემო და დავინახე,
რომ თურმე ბევრი მონა არის შინა, თუ გარეთ!..
ფიქრმა შემიპყრო, ოცნებანი წამომიფრინდენ,
იმედის ღმერთმა გამიღიმა, შემიჯდა მხრებში
და მივაშურე მათ, ვინც ჩემებრ იტანჯებოდენ!..
ძმამ ძმა ვიცანი, დამაშვრალმა — ჩემებრ დევნილი,
ვიპოვე სიტყვაც მათ სათქმელად გამზადებული
და... დავმეგობრდით, დავძმობილდით... გაგვეხსნა ზეცა...
ამიერიდან ვერას მავნებს თვით ბელზებულიც!..
ოხ, რა კარგია, რა ტურფაა ჩვენი ქვეყანა,
რა სასიამოთ აქოჩრილან მთანი ტყიანნი!
როგორ ლიკლიკებს ცივი წყარო ვერხვისა ძირში,
როგორ რაკრაკებს იადონი ტკბილი ხმიანი!...
ჩუ! რას ბუტბუტებს ეს წვრიმალა, წვრიმალა გრუზა,
რასა ტიტინებს ნიავ-ქარი ენა-ტანია?
— „იქ სადაც მეფობს მეგობრობა, ძმობა-ერთობა
ყველა ტანჯვაო დროებითად ასატანია!“
— ეჰა! მიგიხვდით, დიდებულნო ბუნების ძალნო!
თქვენ მომაგონეთ მამის სიტყვა, მამის ანდერძი,
რისთვის ვგმობდი დღევანდლამდე ბედისა წერას,
რათ არ ვემსხვერპლე ჩემ ქვეყანას, ვით ოქროს ვერძი?
მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი დრო მაქვს... ვივლი მთა-ბარად:
იერემიას მოვუწოდებ ჩემს გოდებაზე...
სიმშილს, სიცივეს, შეგინებას, — ჩავაგდებ არად
და დღე და ღამე ლექსებს ვიმღერ ტკბილ ერთობაზე!..
ბებერ მუხის ძირს ცეცხლს დავანთებ, ცეცხლსა ძლიერსა,
იმისი ალი ქედს მისწვდება იალბუზისას...
შავი ღრუბლები ალისფერად შეიღებება,
ჩემი სამშობლო წყალს ისხურებს აიაზმისას.
აფრა-გაშლილ გემს ქიმსა მოვსტეხ, ქიმსა ღუზისას,
ერთობის ზღვაში შევაცურებ... მოვიკრებ ძალებს...
ბრძოლის ველზედა შემოვძახებ ჰანგსა ლხენისას,
და ბოროტებას დავუყენებ ორივე თვალებს!..
სიმღერა ჩემი გაამხნევებს ყველა დაჩაგრულს,
ობლად დარჩენილს, დამაწყევარს თავის თავისას
და შეერთებით, ხმა-შეწყობით ამხედრებულნი
იერიშითა გადავქელავთ მთას გოლგოთისას!..

ია ეკალაძე.

*) პირველად წაკითხულია „ი. ევდოშვილის საღამოზე“ 7 ივნისს, 1914 წ.

ეფრემიძე, აკ. კაკაბაძე, შ. მახარაძე, ს. მაჭავარიანი, ივ. მოსიძე, მ. მუშკუდიანი, ივ. მიქაუტაძე, ნ. ნაჭრებია, დ. რიჟამაძე, ნიკ. ფირცხალაშვილი, ი. რიჟინაშვილი, მ. რიჟინაშვილი, ა. სისორდია, ბ. სვანიძე, ვ. ხელაძე, ნ. ტყემალაძე, რ. ხვედელიძე, კ. ქორქაშვილი, პ. ქარციაძე, დ. ცქიტიშვილი, შ. ცქიტიშვილი, მ. ცხადაძე, დ. წერეთელი, ლ. წაქაძე, ნ. ჩოგოვაძე, გ. ჩიკვაიძე, ა. ჭილაშვილი, ა. ჭაჭიაშვილი, გ. ჭოლაძე, ნ. ჭიპაშვილი, დ. ჭანტურია, კ. ჭიჭინაძე, გ. ჩიქოვანი, გ. შველიძე, მ. მარგველაშვილი, ტ. წერეთელი.

ექსტერნებთაგან სამი ჩაიჭრა, სამმა სიმწიფის მოწმობა მიიღო: ა. ვარდოსანიძემ, ვ. საყვარელიძემ და მიხაილოვმა.

✦ როგორც სოფ. სვირიდან გვატყობინებენ, 8 ივნისს, სვირის სადგურის მახლობლად, პატარა ღელეში, რომელიც იქვე მდ. ყვირილას ერთვის, მეურმეს ურემი გადაბრუნებია, რომელზეც 5 სული ბავში ედდით მსხდარან. ყველა წყალში ჩაცვენილა. მოდიდებულ ღელეს ისინი წაუღია. იქვე მცურავი კაცი რომ არ აღმოჩენილიყო, ყველა დაიხჩობოდა. დაშავებით არა დაშავებიათ რა.

✦ როგორც მდაბიო მოქალაქეთა კრებაზე გადასწყდა ყოველივე ხარჯი სამართველოს შესანახათ უნდა იკისროს. მოქალაქეებისგან ვერავითარ სასყიდელს ვერ მიიღებს სიქმის გაკეთებაში. მამასახლისი წინაალ. შემთხვევაში იგი პასუხის გებაში მიეცემა. მამასახლისმა უნდა აიღოს, მხოლოდ ქალაქში ახლათ ჩარიცხულ პირებზე 10—20 მანეთამდი.

✦ ამას წინათ ჩვენ ცნობა გვქონდა მოთავსებული, რომ ტყიბულში, ვიღაც ვაჟბატონებმა ბოჭორიშვილს ბარათით ფული მოსთხოვესო. ამის შესახებ პოლიციას ზომები უხმარია და ერთი კაცი ვლადიმერ ვარდოსანიძე კიდეც დაუპატიმრებია.

✦ 9 ივნისს ქუთაისის საადგილმამულო ბანკში დანიშნული იყო პირველი საჯარო ვაჭრობა ქალაქ ქუთაისის მამულზე. სულ გასაყიდათ გამოცხადდა 80 მამული. ამაში გაიყიდა 16—და მეორე ვაჭრობისთვის გადიდვა 64 მამული.

✦ 9 ივნისს ქალაქის საბჭოს კრებაზე, ერთ ხმათ მიიღეს, ქალაქის გამგეობის მიერ წარდგენელი დამატებითი ხარჯთაღრიცხა, მუნიციპალური საქმეების ტეხნიკური პროეკტებისა და ხარჯთაღრიცხვების შესადგენათ. ამ საქმისათვის გადადებული იქნა 15,000 მანეთი, რომელიც ქალაქმა თამასუქებით უნდა აიღოს სესხათ. ამ სესხის დასაფარავ წყაროთ ნაჩვენები იქნა ის ერთი პროც. რომელიც 1913 წ. 21 დეკ. კანონით გადახდილ უნდა იქნეს ქალაქის სასარგებლოთ სახელმწიფო გადასახადიდან.

✦ 9 ივნისს ღღის 4 საათ. ოლდენბურგის ქუჩაზე საფოსტო-სატელეგრაფო კანტორის შენობას ცეცხლი გაუჩნდა. ცეცხლი მალე ჩააქრეს.

✦ სოფლებიდან გვატყობინებენ, რომ ცუდი ამინდების გამო ახლათ დათესილი სიმინდი ძლიერ დაზიანდაო.

✦ ქალაქის საბჭოს დაუდგენია 9 ივნისის კრებაზე,—ელენე ჯინოევის ქალის თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნას. მას უფასოთ უნდა დაეთმოს ქალაქიდან ეკლარის ქვა, გაბრიელის სახელობაზე სამკითხველოს ასაგებლათ.

აგრეთვე ამ კრებაზე დააკმაყოფილეს ქალაქის ქიმიური ლაბორატორიის გამგის თხოვნა, მას მიუმატეს ჯამაგირი 480 მანეთი ე. ი. სულ ექნება 1200 მანეთი.

✦ პეტერბურგის ბირჟაზე ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობის ფურცლები 9 ივნისს 78 მანეთად და 10 შაურათ ფასობდა.

✦ 16 ივნისს, საოლქო სასამართლოში გაირჩევა, იაგორ ვერხვაძისა და კაპიტონ დარსელიას საქმე. პირველი ისჯება 1545 საკ. მუხლის ძალით ჲ მეორე კი—1629 და 1632 საკ. მუხ. ძალით.

✦ რამდენიმე რუს ახალგაზდას განზრახვა ქონიათ, ქუთაისში შეადგინონ ჯგუფი და მომავალ სეზონში გამართონ იაფ-ფასიანი რუსული წარმოდგენები. სასურველი იქნება დრ. საზოგადოება მათ ხანგამოშვებით თეატრს დაუთმობდეს.

✦ ქალაქის საბჭოს კრებას ერთხმათ მიუღია საგანგებო კომისიის მოხსენება, ქალაქის პირველ აფთიაქის რევიზიის შესახებ. როგორც მოხსენებიდან სჩანს, ქალაქის პირველ აფთიაქში, ყოფილა ყველა ის საბუთი, აფთიაქის მიერ გამოწერილი საქონლის ფასდაკლების შესახებ, რომელიც სააფთიაქო კომისიას ვერ ენახა.

✦ ქალაქის თვითმართველობამ გუშინ მომრიგებელ მოსამართლეს გაუგზავნა გასარჩევათ 40 ოქმი სხვადასხვა პირზე შედგენილი სანიტარული წესის დარღვევისათვის.

✦ 10 ივნისს ქალაქის სანიტარმა ვასილ ბეჟანეიშვილმა გელათის ქუჩაზე ოქმი შეუდგინა შემდეგ პირებს: მეპურე ხუსეინ ალი მურტუზ-ოღლის, გულო და მიხეილ იაკობიშვილებს, რაფიელ იაკობიშვილს, თეთრა იაკობიშვილს, ხაიმ თეთრაშვილს, ი. თეთრაშვილს, დავით ციციაშვილს, ელო ციციაშვილს, დარჩია ციციაშვილს, შალვა და აბრამა იაკობიშვილს, მოშა იაკობიშვილს და ისრაელ იაკობიშვილს, სანიტარული წესის დარღვევისათვის.

✦ ჩვენ ცნობა გვქონდა მოთავსებული, რომ ვითომც მამასახლისობის ყუთი დაედგას ვასილ ბეჟანეიშვილს, მაგრამ ეს სიმართლეს მოკლებულია.

✦ კვირას, 8 ივნისს, ქალაქის გამგეობის დარბაზში შესდგა ქუთ. გუბერნიის მცხოვრებთა უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ახალგაზდობის დამხმარე საზოგადოების კრება. კრებას წევრები ძლიერ ცოტა დაესწრო. კრებამ წასული 1913 წლის ანგარიში და მდგომარე წლის ხარჯთაღრიცხვა უცვლელათ დაამტკიცა. შემდეგ კრებამ ერთხმათ არჩია გამგეობის თავჯდომარეთ ქ-ნი ე. ე. ხეჩინოვისა. გამგეობის წევრებათ აირჩიეს: ს. ი. ხეჩინოვი, ს. ე. წერეთელი, ბ. პ. მოსეშვილი, მ. ფ. მგალობლიშვილი, ბ. ა. ლეჟავა და ს. ე. ტერტეროვი. ხაზინადრათ არჩეულ იქნა დ. პ. მაჭავარიანი და მდივნათ ნ. დ. ჩიქოვანი.

სამწუხაროთ ამ კრებას არც ერთი სტუდენტი არ დასწრებია. უმჯობესი იქნებოდა, ბაღში საირნობის მაგიერათ, იმ კრებას დასწრებოდენ, სადაც მათ საკითხს სწყვეტავდენ.

## სახალხო მასწავლებელთა საყურადღებოთ.

(ექსკურსია გურიის შესასწავლათ).

ყველამ კარგათ იცის, რომ ექსკურსიას დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის განვითარებისათვის. ამიტომ ზედმეტათ მიმაჩნია ამაზე წერა. ვიტყვი მხოლოდ, რომ ექსკურსიის მნიშვნელობა მით უფრო მეტია და მით უფრო სარგებლობას მოიტანს, რაც უფრო სერიოზულათ უყურებენ მას თვითონ ექსკურსანტები და ხელმძღვანელები. ამიტომ შეგნებულ ექსკურსანტს გათვალისწინებული უნდა ქონდეს ექსკურსიის მიზანი, და ეცადოს, რაც შეიძლება მეტი სარგებლობა ჰპოვოს.

სახალხო მასწავლებლებს მთელი ზაფხული გვაქვს თავისუფალი და, ვისაც ჯანმთელობა ხელს გვიწყობს, არ უნდა დავკარგოთ ძვირფასი დრო. პრესაში არა ერთხელ გამოთქმულა სურვილი—მოვაწყოთ საზაფხულო ექსკურსიებიო. ამაზე საკითხი აღიძრა გურიაშიდაც და მივედით იმ დასკვნამდი, რომ საჭიროა მოეწყოს სისტემატიური ექსკურსიები ჩვენი ქვეყნის შესასწავლათ. რა გვინდა სხვაგან ჯერ, როცა არ ვიცნობთ იმ მხარეს, „სადაც ვშობილვართ, გაზრდილვართ“, „სადაც სიყრმითვე ვჩვეულვართ“, „სად მამა-პაპა გვიგულვის და იმათი კუბოს ფიცარი“? კარგია სხვა ქვეყნების გაცნობა, მაგრამ ამას წინ უნდა უძღოდეს უპირველესათ სამშობლოს შესწავლა.

ამიტომ ჩვენ, რამდენიმე პირმა, ვითავეთ მოვაწყოთ ექსკურსია 1 ივლისიდან გურიის შესასწავლათ. ეს იქნება პირველი ნაბიჯი. შემდეგ ასეთივე გეგმით მოვივლით საქართველოს სხვა კუთხეებსაც. როცა შევისწავლით ჩვენს ქვეყანას და კავკასიას—გავემგზავრებით რუსეთში და სხვაგანაც.

წრეულს უნდა გავეცნოთ გურიას.

ექსკურსია დაიწყება 1 ივლისს ქ. ოზურგეთიდან, შემოიარს დასავლეთ გურიას, შეჰყვება სამხრეთ ნაწილს, გადაივლის გომის მთას, გაივლის ბახმაროზე და გადაიარს სურების მთას, აქიდან ნიგოითის მთებით ჩავა ისევ დასავლეთ გურიაში. ექსკურსია გაივლის ყველა თვალსაჩინო სოფელში და ადგილობრივ მასწავლებლისა და ღვდლების დახმარებით შეაგროვებს ყოველგვარ ცნობას გურიის კულტურულათა და ეკონომიურათ შესასწავლათ. გადაღებული იქნება ფოტოგრაფიული სურათები შესანიშნავი ადგილებისა. ამრიგად შეგროვილი მასალა შემდეგ დამუშავდება და გამოიცემა ცალკე წიგნათ (სურათებით) წინასწარი ხელისმოწერით, ასეთი წიგნის მნიშვნელობაზე ახლა არაფერს ვიტყვი, აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ის აუცილებელია სახალხო მასწავლებელთათვის, მაგ., დაინიშნა ახალი მასწავლებელი სოფელში, რომელსაც ის არ იცნობს. როგორ უნდა შეასწავლოს მან გეოგრაფია ბავშებს? უნდა დაიწყოს ბავშის სოფლიდან და ამ უკანასკნელს კი თვითონ არ იცნობს. აი, აქ გადაშლის ის განზრახულ წიგნს და ამოიკითხავს საჭირო ცნობებს სოფლის შესასწავლათა და ასაწერად; ის ადვილათ გაეცნობა მთელ კუთხეს ჯერ თვითონ და შემდეგ გადასცემს ბავშებს.

სრული იმედი გვაქვს, რომ მსურველები გაითვალისწინებენ ამ ექსკურსიის მნიშვნელობას. ექსკურსია დაიწყება პირველ ივლისს და გავრცელდება დაახლოებით ერთ თვეს. ექსკურსია გადაიდება თუ ათზე ნაკლები მსურველი აღმოჩნდა. ამიტომ მსურველები უნდა ჩაეწეროს 20 ივნისამდი, რომ დროზე ვაცნობოთ, თუ გადაიდვა ექსკურსია. განცხადება და ერთი მანეთი უნდა გამოიგზავნოს: ქ. ოზურგეთში, ილარიონ ლომაძესთან (მასწავლებელია).

არ დაივიწყოთ თვისი ადრესის მოწერაც!

ვთხოვთ გურიაში მცხოვრებ მასწავლებლებს და ღვდლებს ძზათ დაგვახვედრონ შემდეგი ცნობები თავისი სოფლის შესახებ: 1) რამდენი მცხოვრებია ამ სოფელში? კაცი, ქალი. 2) სასკოლო ასაკის ბავშები (დაბადებულნი 1904—1906 წლებში) ვაჟი, ქალი. (3 რამდენია წერა-კითხვის მცოდნე? 4) რამდენი საშუალო ან უმაღლესი განათლების და სად ცხოვრობს? 5) რა სკოლაა, როდის გაიხსნა? 6) ვინ და რა განათლების კაცია მასწავლებლათ? 7) როდის აშენდა ეკლესია? ვინ და რა განათლების კაცია ღვდელი? 8) რამდენია თავად-აზნაური? 9) რამდენია სხვილი მესაკუთრე? 10) რა არის ამ სოფელში შესანიშნავი, ისტორიული? 11) რის მოყვანას მისდევს უფრო მცხოვრებლები? 12) რამდენი კაცია გასული ქალაქად 13) რამდენმა მიატოვა სულ სოფელი?

ადგილობრივ მასწავლებლებსა და ღვდლებს ევალებათ აგრეთვე მიუძღვეს ექსკურსანტებს შესანიშნავ ადგილებზე და აღმოუჩინონ მოსულებს დახმარება ბინის (შკოლაში) და ხარჯის (რა თქმა უნდა არა უსასყიდლოთ) შოვნაში.

ამხანაგობის მონდობილობით

პ. ჭანიშვილი.

P. S. ესეთი განცხადება ეგზავნება „აზრის „რედაქციასაც და ვსთხოვ აგრეთვე ყველა ქართულ გაზეთებს გადაბეჭდონ ეს. პ. წ.

## მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ.

(აბრეშუმის პარკისა და ძაფის ფასები).

აბრეშუმის პარკის მოსავალს ყველგან კარგი პირი უჩანს, თუმცა ადრე გამოყვანილ ჭიას აპრილის სიცივეებმა ცოტა ავნო. ამ ჟამად მეაბრეშუმეები დიდ მოლოდინში არიან: ყველას აინტერესებს თუ რა ფასებს დაადებენ მეპარკეები ადგილობრივ ბაზარზე. საზოგადოდ ახალ მოსავლის დროს პარკისა და ძაფის ფასები მსოფლიო ბაზარზე სდუმს, რადგანაც მექარხნეები უცდიან პარკის ახალ მოსავლის გამორკვევას და ფასების გატეხას. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ წელს მსოფლიო ბაზარზე—მილანში და მარსელში პარკის კარგი ფასები (68 მანეთი 50 კ. ფუთზე) შეუცვლელად რჩება. მოსკოვში ამ ჟამად ფუთი ხმელი პარკი პირველი ხარისხის ფასობს 65 მან. ჩვენში ჩამოსული მეპარკეები დიდ საფიქრებელში ჩააგდო ნუხიდან მოწერილმა ცნობებმა, რომ იქ ნედლი პარკი 22 მანეთამდი ავიდა ფუთიო. მართლაც ნუხის ბაზარზე პარკი უკვე შემოვიდა დამლევ იმ თვიდან. პარკის მყიდველი მექარხნეები ერთმანეთს დაეჯიბრენ და პარკის ფასი 22 მანეთამდი ასწიეს, თუმცა სამი დღის შემდეგ ფასები 17 მან. დაიწია. ყოველ შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ პარკის ფასი წელს მეტი იქნება, ვიდრე შარშან იყო, რადგანაც ცნობები პარკის ახალ მოსავლის შესახებ, როგორც ჩვენში ისე უცხოეთში არ გვიჩვენებს ფასების დაცემის საშიშ ნიშნებს. პირიქით მსოფლიო ბაზარზე მეაბრეშუმობის სხვადასხვა ნაწარმოებზე ფასები ამ ჟამად უფრო მეტია, ვიდრე შარშან იყო. მაგალითად—მილანში დღეს ფუთი ძაფი ფასობს—299 მანეთად და შარშან კი 271 მანეთი იყო და სხვა.

საჭიროა, რომ ჩვენი მეაბრეშუმეები პარკის აკრეფას არ აუჩქარდებოდენ და დაალოდიდენ ჭიას პარკის ახვევას. მასთან ადრე უნდა გაიგონ თუ რა ფასებია ბაზარზე და შემდეგ წაიღონ გასასყიდათ. თუ ფასები ჯერ გატეხილი არ არის, ვურჩევთ, „მაზანდაში“ დასტოვონ თავიანთი პარკი და, როცა ფასები დადგინდება, მაშინ აიღონ ფული. მეაბრეშუმე უნდა ერიდოს პარკის გასაღებას თავის სახლში წვრილ ჩარჩ-ვაჭრებზე; უნდა ეცადოს პარკი წაიღოს დიდ ბაზარზე—საზოგადო სასწორთან და გაჰყიდოს იგი პარკის მწონელ კომისიის დახმარება-შუამდგომლობით. საჭიროა აგრე თვე პარკის გადარჩევა, რომ გასასყიდ პარკში არ შეყვეს ნაჭეჭყურა ცუდი პარკი, თორემ ერთი გლახა პარკი ასსა და მეტს კარგს პარკს გააფუჭებს და ფასსაც დასცემს. დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ ვისაც კი ცოტათი მაინც შესტკივა გული ჩვენ დამშეულ დაზარალებულ სოფლელებისადმი და ფიქრობს მათ დახმარებას, იგი უნდა ეცადოს, რომ მეაბრეშუმეს პარკი რიგიან ფასებში და კარგი წონით გაასაღებიოს, რითაც საშვალებას მისცემს, რომ პარკში აღებული ფულით სიმიდი იყიდოს და დამშეული ოჯახი დააკმაყოფილოს. საჭიროა დღესვე მოეწყოს პარკის წონა და შესდგეს პარკის მწონელი კომისები--ქუთაისში, ხონში, სამტრედიაში, ოზურგეთში, ლანჩხუთში, ჩოხატაურში, აბაშაში, სენაკში, ხობში, ზუგდიდში და სხვა ალაგებში, სადაც პარკის აღებ-მიცემობა სწარმოებს. მოვუწოდებთ კომისიის ძველ წევრებს თადარიგი დაიჭირონ საზოგადო სასწორებისა და პარკის ბაზრის მოწყობის საქმეში—შეამოწმონ სასწორები. პარკის ჩასაყრელი ყუთები, დაამზადონ კვიტანციის წიგნები და სხვა.

ი. ქუთათელაძე.

P. S. ვსთხოვთ სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს წერილი და საზოგადოთ ადგილი დაუთმონ ამ მეპარკეობის სეზონში დაწვრილებით ცნობებს პარკის ფასების შესახებ, რომელსაც ჩვენ მივაწვდით მათ შემდეგ შინაარსით: ნედლი პარკის ფასი მარსელში და მილანში (სამი ფუთი ნედლი პარკიდან გამოდის ერთი ფუთი ხმელი. მასთან მილანისა და მარსელის ფასებიდან უნდა გამოვაკლოთ 6—8 მანეთი ფუთზე მიტანისა და სხვა ხარჯებზე). ი. ქ.

(ს. გ.)

# რუსეთი.

## დეპეშები

(პეტ. დეპ. სააგ.)

9 ივნისი.

რიგა. ნავსადგურის სადამოჟნო რაიონში გადაიწვა აუარებელი საქონელი, განსაკუთრებით მატყლი და მანქანების მოწყობილობა. მიზეზი გამოურკვეველია. ზარალი ნახევარ მილიონამდი იქნება.

რეველი. საღამოს ექვს საათზე ინგლისის ესკადრა კრონშტადტიდან გამოვიდა.

პეტერბურგი. სამხედრო მინისტრმა გატჩინის აეროდრომზე დაათვალიერა გატჩინის საავიაციო განყოფილების მფრინავი რაზმები. მფრინავებმა ჯგუფებათ იფრინეს რამდენჯერმე.

სიმფეროპოლი. გადაიცვალა ვაგნერი სამხრეთ რუსეთში სამთო მრეწველობის თვალსაჩინო მოღვაწე.

ცარიცინი. გუბერნატორის განკარგულებით, მოხდა სანიტარული კომისიის სხდომა, რომელმაც შეიმუშავა შავი ჭირის წინაამდეგ ზომები.

მინსკი. იგუმენსკის და ბობრუისკის მაზრებში მოვიდა დიდი წვიმა და სეტყვა, რომელმაც დიდი ზარალი მიაყენა მცხოვრებლებს. ერთი გლეხი მოკვდა ს. ბარსუკში. არის კიდევ ადამიანთა სხვერპლი სხვა ადგილებშიც.

### ჟურნალ-გაზეთებიდან.

პროფ. მერეჟკოვსკი და გრ. რასპუტინი.

„რუსკოე სლოვო“ს კორესპონდენტს გაუგია ნამდვილი პირი პრ. მერეჟკოვსკის წერილისა ერთ დიდ პირისადმი გრ. რასპუტინისთვის გადასაცემათ. აი ეს წერილი: ღრმათ პატივცემულო მამაო გრიგოლ ექვთიმეს ძევ! თავ. გ., რომელიც გადმოგცემთ ამ წერილს, გეტყვისთ ყველაფერს დაწვრილებით საქმის შესახებ. იმედებს, რომ საქმე კარგათ დასრულდება, ვამყარებ თქვენზე, პატივცემულო გრიგოლ ექვთიმესძევ [illegible] რისია მოისურვოთ-და, თქვენ [illegible] ნებთ ჩვენთვის საყვარელ [illegible] მოელაპარაკეთ ი. გ. შჩეგლოვიტოვს და ყოველივე კარგათ ჩაივლის. სახალხო განათლების სამინისტროში საქმე კარგათ არის. ხმები ჩემი სამართალში მიცემის შესახებ—სიცრუეა. ის საბუთები, რომელიც ყველაზე უფრო საშიში იყო ჩემთვის (წერილები და დღიური, რომელიც ჰქონდა პროფ. გრიბოვსკის), ვისგანაც ჯერ არს, მოისპო. კალერიას დედა ცდილობს საქმის ლიკვიდაციას. მე გავუგზავნე მას ივანოვის ხელით 2000 მან. თქვენს გარდა, ჩემს შესახებ იშუამდგომლებს აგრეთვე თავ. მეშჩერსკი. თუ მაინცდამაინც შეუძლებელი გახდება ჩემი რუსეთში დაბრუნება, ეცადეთ, რომ მე მომცენ საშუალება საზღვარგარეთ მაინც ვიცხოვრო თავისუფლათ. სახ. გან. მინისტრის ამხანაგმა შევიაკოვმა, რომელსაც ახლახან აქ შევხვდი, მითხრა, კიდეც რო დავრჩე საზღვარგარეთ, მაინც მიმაწერენ სახ. განათ. სამინისტროსო. მაშ, გრიგოლ ექვთიმესძევ, მოელაპარაკებითრა თავადს, გაიგებთ ჩემს სამძიმო მდგომარეობას და ყოველივე საჭირო ზომებს მიიღებთ. თუ მე, თქვენის აზრით, დამნაშავე ვარ რამეში, მე მაინც მივიღე სასჯელი: როგორც მხეცი, ისე ვემალები ხალხს. ყველა მარიდებს თავს. პარტიული ამხანაგები ველურათ ხარხარებენ და მაფურთხებენ პირში. ოჰ, ღმერთო! დამიხსენ ამ ტანჯვისაგან. გრიგოლ ექვთიმესძევ! მომეცით კეთილი დარიგება, თუ როგორ მოვიქცე. დაიხსენით ის, ვინც იღუპება“.

მონა ღვთისა მერეჟკოვსკი“.

მთვრალი დედა.

ვიტებსკის გუბ. ლოსვიდის „ვოლოსტ“ში ერთი ადგილობრივი გლეხი დედაკაცი მთვრალი დაბრუნდა სახლში და ოთხს თავის შვილს დანით ყელი გამოსჭრა. (რ. ს.)

# უცხოეთი.

## დეპეშები.

9 ივნისი.

სტამბოლი. რუსეთის საელჩოს პირველი დრაგომანი და სხვა დიდ სახელმწიფოთა დრაგომანები სმირნას გაემგზავრენ, სადაც ისინი დამოუკიდებლათ მოახდენენ გამოძიებას. ოსმალეთის წრეები მოელიან სულთანის დრედნოუტის „ოსმანი“-ს მოსვლას. უკანასკნელ სამუშაოს შეასრულებენ ზოლოტოი როგში ინგლისელი მუშები.

ბერლინი. „კელნიშე“ ამბობს: პრინც ვიდის მდგომარეობა უნუგეშოა, თუ მას დიდი სახელმწიფოები არ დაეხმარებიან ფულით, რომ ჯამაგირები დაურიგოს ჯარს და აგრეთვე თუ არ მისცემენ მას საერთაშორისო რაზმს, რომელიც დაიცავს ტახტსა და პრინცის მთავრობასო. თუ ამ დახმარებას არ გაუწევენ პრინც ვიდს, პრინცს უნდა რჩევა მიეცეს, დაუბრუნოს დიდ სახელმწიფოებს მათ მიერვე მიცემული მანდატი.

უდჟდა. გაუსმარტენის კოლონამ მოიგერია მაროკელთა რაზმი, რომელიც დაბანაკებული იყო მდ. იანცენის ნაპირას. ფრანგებმა დაკარგეს 5 ჯარისკაცი, 22 დაჭრილია.

### ჟურნალ-გაზეთებიდან.

ჩინეთის ამბები. კონსერვატიული პარლამენტი.

სტატს-სეკრეტარის გადაწყვეტილებით, პარლამენტში, რომელიც მალე გაიხსნება, არ შეუშვებენ გარეშე პირთ და არც კორესპონდენტებს. განსაკუთრებული ბიურო გადასცემს გაზეთებს გამოსაქვეყნებლათ მხოლოდ მთავრობისთვის სასურველ სიტყვებს.

„თეთრი მგელი“.

„თეთრმა მგლებმა აიღეს ქალ. იაოჯოუ, გაანადგურეს იგი და დახოცეს რამდენიმე ათასი მცხოვრები. ქალაქის მახლობლათ მდგომმა მთავრობის ჯარმა ვერ გაბედა „თეთრ მგლებს“ შებრძოლებოდა.

იუანშიკაის ცდა.

იუანშიკაი ურგაში გზავნის სპეციალურ დელეგაციას, რომელსაც მიზნათ აქვს დაითანხმოს ხუტუხტას მთავრობა ჩინეთთან შეერთებაზე. დელეგაციას დავალებული აქვს, განაცხადოს, რომ ხუტუხტას უფლება ხელუხლებლათ დარჩება, მხოლოდ შეიცვლება ტიტული. (რ. ს.)

სავაჭრო სახლი **ი. გოკიელის** შვილების ქუთაისში. მაზიაზნის სითხით

მევენახეთა საყურადღებოდ. მიღებულია და იყიდება

უმაღლესი ხარისხის **ძლიერ ზომიერ ფასად** ნამდვილი ინგლისური **შაბიამანი**, გოგირდის ფხვნილი, ქაქმენის სითხე.

ვენახების საქმით **მანქანები ვერმორელისა და პლატაცისა, გოგირდის საბერველები.**

მანქანების უეველგვარი რეზინები- სა და სხვა მოწყობილობა.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და შპალიერისა ქ. ქუთაისში.

## ფ. ს. ფილიპოვისა.

ალექსანდრეს ქუჩაზე,

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილობა; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი ს ა ო ჯ ა ხ ო ს ა მ კ ა უ ლ ი, ნ ა ვ თ ი ს ს ა მ ო ვ რ ე ბ ი, ღ უ მ ე ლ ე ბ ი (ფეჩები), ს ა მ ზ ა რ ე უ ლ ო ე ბ ი, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, განთქმული ლიბავის ქარხნის „ვ ი კ ა ნ დ ე რ და ლ ა რ ს ო ნ ი ს" სამუსიკო ინსტრუმენტების (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულია ნაღდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია.

პატივისცემით ფ. ფილიპოვი.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და ელექტრონის მოწყობილება ქ. ქუთაისში.

## ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძისა.

მიხაილოვის ქუჩა,

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილება; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე, მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთისსამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, განთქმული ლიბავის ქარხნის „ვიკანდერ და ლარსონის" და სხვა პიანინოები და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულია ნაღდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია. ელექტრონის მოწყობას თვალყურს ადევნებს ჩვენგნით სპეციალურათ მოყვანილი ხარკოვში უმაღლესი სწავლა დამთავრებული ელექტროტეხნიკი.

პატივისცემით ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძე.


## დაბა-სოფელი.

**დ. ბაღდადი.** 1 ივნისს აქ მოხდა ყრილობა, რომელზეც უნდა გადაწყვეტილიყო პირველდაწყებითი უმაღლესი სასწავლებლის ყოფნა არ ყოფნის საქმე. ხალხმა განურჩევლათ წოდებისა, თითქმის ერთხმათ დაადგინა განაჩენი, რომლითაც თხოულობენ ამ სასწავლებლის გახსნას. თავისი მხრით ვალდებული ხდებიან იხადონ ყოველწლიურათ 1000 მ. შკოლის საოჯახო ხარჯების დასაკმაყოფილებლათ, (ეს ფული, როგორც ინსპექტორმა ბრძანა, ორი წლის შემდეგ მოეხსნება ხალხს) და გადასცენ არსებული ორკლასიანი შკოლის შენობა თავისი ეზოთი და ყოველი მოწყობილობით პირველდაწყებით უმაღლესი შკოლის შენობათ. მეორე განაჩენით კი, თხოულობენ ხაზინიდან ფულის დახმარებას ორკლასიანი შკოლის შენობისთვის, რომელიც უნდა აშენდეს ყოფილი შენობის ნაცვლათ.

სახალხო შკოლების ინსპექტორს ბ-ნ ჰერმანს ძლიერ მოეწონა ბაღდადის საზოგადოება, ჰავა, მდებარეობა და ორკლასიანი შკოლის შენობაც, რომელიც უნდა დაეთმოს პირველდაწყებითი უმაღლეს სასწავლებელს; აგრეთვე დაინახა რა ამ შკოლის გახსნის მიუცილებელი საჭიროება, აღუთქვა ყოველნაირი დახმარება და სთხოვა ადგილობრივ ბოქაულს მეტათ პატიოსან და მუშაკ ადამიანს, ბ. შენგელიას, რაც შეიძლება დაჩქარებით გაეგზავნა განაჩენები, რომ მომავალ სამოსწავლო სეზონიდან შკოლაში სწავლა გაეხსნება. ბ. ბოქაულმა პირნათლათ შეასრულა თავისი მოვალეობა.

ვიმედოვნებთ ბ. ინსპექტორი დაუყონებლივ მისცემს ჯეროვან მსვლელობას საზოგადოების განაჩენებს და ახლო მომავალში სწავლა-განათლების მოტრფიალე ბაღდადის საზოგადოებას გვექნება სასწავლებელი პროგიმნაზიული კურსით.

წინ დღით ბაღდადის შკოლის ზედამხედველმა ბ. ი. ნინუამ გამართა „სალიტერატურო საღამო", რომელზეც ბავშვები კითხულობდენ ლექსებს და სხვადასხვა მოთხრობას. ხალხი ძლიერ ბევრი დაესწრო; საღამომ კარგად ჩაიარა.

მეორე დღეს კვირას დიმის ორკლასიანი შკოლის ზედამხედველმა ბ. ა. გეგეშიძემ გამართა ამგვარივე საღამო: ბავშვები ძლიერ მხატრულათ და შეგნებით კითხულობდენ თავის ლექსებს დ მოხთრობებს,— ხალხი ბლომათ დაესწრო და კმაყოფილიც დარჩა.

არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ ამგვარი „სალიტერატურო საღამო" დიდი სასარგებლო და მნიშვნელოვანია, როგორც ბავშვებისთვის, ისე მშობლებისთვისაც. ბავშვები ეჩვევა თავისუფლათ, უშიშრათ და უსირცხვილოთ სცენაზე გამოსვლას და ხალხის წინ მსჯელობას; მშობლები კი გახარებული და დაკმაყოფილებული თავის ბავშვების სითამამით, შკოლას მეტათ იყვარებს, პატივს სცემს და ყოველთვის მზათ არის დაეხმაროს და იზრუნოს მის კეთილდღეობისათვის.

სასურველია, რომ ყოველ შკოლაში იმართებოდეს მგზავსი „სალიტერატურო საღამოები", რაც შეიძლება, ხშირათ და უფრო ფართო პროგრამით.

როკითის შკოლის გამგე:

ანდრო ფურცელაძე.

## შეკითხვა ბ. სურბულაშვილს.

„იმერეთის" ამა წლის 74-ე №-ში მოთავსებულია, ბ. სურბულაშვილო თქვენი, წერილი, სადაც, სხვათა შორის, მეხებით მე, როგორც მასწავლებელს და ამბობთ: ვითომ ვცხოვრობდე 5-ვერსის მოშორებით, ოთხი ხუთი დღე შკოლას ვაკლდებოდე, და როცა კი მივდივარ, 11 საათზე დავიარებოდე და სხ...

რომ თქვენი ვინაობა ვიცოდე, ბ. სურბულაშვილო, შემეძლო დასაბუთებული წერილი მეძღვნა თქვენთვის და სიმართლე გამომერკვია. ახლა დამრჩენია მხოლოდ რამდენიმე შეკითხვა მოგცეთ, რომლის პასუხსაც, იმედია, მომცემთ და მით სიმართლეს თქვენივე პირით აღიარებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სრული უფლება მაქვს თქვენს საქციელს ვუწოდო უსირცხვილო ცილისწამება და სამედიატორო სამართალშიაც გამოგიწვიო. აი შეკითხვებიც: ამ ხუთი წლის წინად ფუთი რით ითვლებოდა საუკეთესო სოფლათ, სასწავლებელი იყო შიგ თუ სხვა რაიმე კულტურული დაწესებულება, რომელიც დღეს არ არის? დღიდან შკოლის დაარსებისა, რომელი ადგილობრივი პირები იყვენ დანიშნული მასწავლებლად ფუთის სამრევლო შკოლაში და რომელ მათგანს ჰქონდა შკოლა გახსნილი თავის სახლში? მრავალი ტანჯვის შემდეგ როგორი შენობა აეგო სამრევლო შკოლას? აქვს თუ არა სამრევლო შკოლის შენობაში ბინა მასწავლებელს თუ გინდ უვარგისი? როდის და რა თვეში იყო, რომ მასწავლებელმა გამოტოვა ხუთი ან ოთხი დღე, რომ შკოლაში არ მოსულა და, როცა დადიოდა, ისიც თერთმეტ საათზე? ჰქონდა თუ არა გაკიცხულ მასწავლებელს კერძო ბინა სოფელ ფუთში?

იმედია, ბ. სურბულაშვილო, თქვენს პირადობას გამოამჟღავნებთ და ჭეშმარიტების აღსადგენათ ყველა კითხვაზე მიპასუხებთ.

მასწ. გ. ნინიკაშვილი.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბატ. რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით პასუხი გავსცე ვინმე იაკობსონს, რომელიც გაზეთ „იმერეთის" 74-ე ნუმერში ბრალსა მდებს, ვითომ ებრაელების ერი მეგინებიოს და არ დამეზოგოს არავითარი საშუალება მათ ებრაელების დასამცირებლათ.

უნდა აღვნიშნო, რომ ეს არის საზიზღარი ცილისწამება და მეტი არაფერი... მართალია, ლაპარაკი მომივიდა ერთ უცნობ სტუდენტთან, რომელიც, როგორც მერე გავიგე, ებრაელი ყოფილა, მაგრამ ერთი ხმაც არ ამომიღია ებრაელებზე და, არ ვიცი ასეთი ჭორი რათ დასჭირდა ბატონ იაკობსონს. ყოველ შემთხვევაში ვიწვევ მას ამხანაგურ სასამართლოში, რათა სიმართლე იქნეს გამორკვეული, იმ პირობით, რომ განაჩენი გამოცხადებული იყოს გაზეთში. ვადას ვაძლევ სამ დღეს დღიდან ამ წერილის დაბეჭდვისა. უკეთუ ბატონი იაკობსონი არ დათანხმდება, იმ შემთხვევაში, მე სრული უფლება მაქვს იმას ვუწოდო შესაფერი სახელი.

სტუდენტი გ. კუზანოვი.

რედაქტორ-გამომცემელი **გ. ჭელიძე.**


კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნებართვით

ამავე კურსებთან იხსნება საშუალო სასწავლებლების ყველა კლასის უმაღლესი სპეციალური სასწავლებლებისა, და განსაკუთრებით, მიწისმზომლობისა, სამხედრო სასწავლებლებისა და სამასწავლებლო ინსტიტუტისათვის მოსამზადებელი კურსები. ამის შესახებ პირადათ დაკითხვა შეიძლება კურსების კანცელარიაში. დილის 9—12-მდი და საღ. 8—9 საათამდი.

მისამართი: თფილისი, პუშკინის ქუჩა, № 8 ტელ. 10—30.

ქუთაისი.

**თ. მთავრიშვილის და ამხ.**

წიგნისა და საკანცელარიო ნივთების მაღაზიაში

იყიდება ყოველგვარი სახელმძღვანელო ქართულსა და რუსულ ენაზე შედგენილი. მაღაზიას მუდმივ მოსდის ახალ-ახალი რუსული და ქართული წიგნები როგორც რუსეთის ცნობილი ფირმებიდან, ისე საქართველოს ყოველი ქალაქიდან —დაბეჭდვისთანავე. მაღაზიაში არის ყოველგვარი საკანცელარიო ნივთი, სახატავი და საწერი რვეულები საკუთარი ფირმისა. პროვინციის მოთხოვნილებას მაღაზია დაუყონებლივ აკმაყოფილებს. მაღაზია ღებულობს ხელის მოწერას ყველა რუსულსა და ქართულ ჟურნალ-გაზეთზე.

სპეციალური წიგნის მაღაზია

**კოსტანტინე ივ. ძის ოცხელისა და ამხ.**

(ქუთაისში.)

აცხადებს, რომ იგი იწერს დიდძალ წიგნს რუსეთისა და საქართველოს ფირმებისაგან, რომლებზედაც მას აქვს პირდაპირი და სალავათიანი დამოკიდებულება, და გამოწერილ წიგნებს უკეთებს საუკეთესო ყდას ახლად გამართულს საკუთარ საკაზმავ სახელოსნოში.

ამის გამო მას, როგორც სპეციალურს და უდიდეს წიგნის მაღაზიას ქუთაისში, ეძლევა საშუალება დაუთმოს წიგნები მეტად სალავათიანი პირობებით ყველა განმანათლებელ დაწესებულებას: შკოლებს, ბიბლიოთეკებს, სამკითხველოებს და სხვ. პროვინციის წიგნის მაღაზიებს მიეცემათ ის დათმობა, რაც შეუძლიათ მათ მიიღონ რუსეთიდან წიგნების პირდაპირი გამოწერით, თუ იგინი ერთი თვით ადრე დაიკვეთენ წიგნებს.

მსურველთ ეგზავნებათ უფასოდ ქართულისა და რუსული წიგნების ახლად შედგენილი კატალოგები.

წიგნის მაღაზიის გვერდით გამართულია საუკეთესოთ მოწყობილი **საკანცელარიო მაღაზია დ. ოცხელისა,** სადაც მოიპოვება ყოველგვარი საკანცელარიო და სასწავლო ნივთი მეტად ზომიერ ფასად.

3. ა. ლევანდოვსკის **პროგიმნაზია**

უმაღლესი ბრძანებით 25 მაისს 1914 წ. გადაკეთდა სრულ 8 კლასიან

## გიმნაზიათ

სახაზინო სავაჟო გიმნაზიების უფლებებით და ყველა კლასებში ვაჟთა და ქალთა ერთად სწავლების შემოღებით. ამბის გაგება შეიძლება კანცელარიაში ყოველდღე დილის 10 საათ. ნაშუადღევის 2 საათამდე.

თფილისი, გუნიბას ქუჩა, სახლი, № 10.

## ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო ა ბ ა ნ ო.

**ძმ. ყორყოლაძეების**

სადგურ ხრესილში (სერნია ვოდში) ტყიბულის რკინის-გზის შტოზე

თქვენი თვალით იხილეთ და დარწმუნდებით.

ეს წყალი, როგორც ნამდვილათ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობისაგან, უმეტესათ კი: ქარების, (რევმატიზმის) თავის, კუჭის ტკივილისაგან, ნერვების სისუსტისაგან, ჩაყოლილი ციებისაგან (მალარეიასაგან) და აგრეთვე აღორძინებს სუსტ ადამიანებს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც, ხსენებული აბანო მდებარეობს ტყიბულის რკინისგზის შტოზე სადგურ ,,სერნია ვოდში''. აბანო არის სადგურზე დაშორებული 150 საჟენით, მისვლა-მოსვლა და ხაბაკის გადაზიდვა ძლიერ იოლია, ვინაიდან ქუთაისიდან დღეში ორჯერ გადის და მოდის მატარებელი სადგურ ,,სერნია ვოდში'' იქვეა სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ზომიერია. აბანო მუდმივ მუშაობს.

## სახლის პატრონთა საყურადღეოთ.

წრეულს თქვენ დაგჭირდებათ შეკეთება თქვენი სახლის, მაშასადამე უეჭველათ საჭირო იქნება თქვენთვის საღებავი მასალები, თავისთავათ ცხადია, დაიქირავებთ მღებარს (მალიარს) და წახვალთ რომელიმე სავაჭროში საღებავების საყიდლათ, იმ იმედით რომ თქვენ მიერ ნაქირავები მღებარი შეატყობს საღებავი მასალების ღირსებას, მართალია ეს? სულაც არა! საღებავების ღირსებას თვალით კარგი გამოცდილი ქიმიკოსიც ვერ შეატყობს, მაშ როგორ სჯობია მოიქცეთ? გირჩევთ მიიქცეთ

**ძმ. ედ. და პ. საკაშვილების სავაჭროში**

## ქუთაისში

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახლი, რადგან მათ მიერ მოტანილი საღებავი მასალები შემოწმებულია ქუთაისის ქიმიკურ ლაბორატორაში და აღმოჩნდა საუკეთესო ღირსების. აქვე იშოვით კარის, სარკმლისა და ფეჩის მოწყობილობას, აგრეთვე ალიბასტრს, ცემენტს, სახურავ თუნუქს თეთრსა და შავს, ფანჯრის მინებს შპალერს და სხვა მრავალს რკინეულ საქონელს.

ნ. ს. ტერკის მაღაზია

ქუთაისში

## ველოსიპედები

უველაზედ იაფი.




მინები, ნაწილები და მოწყობილებანი კონკურენციის გარეშე

ყ ვ ე ლ ა ზ ე ი ა ფ ა დ

ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება. მოითხოვეთ პრეისკურანტები უფასოთ.


## რკინის გზა

ქუთაისიდან მიდის

| | | |
|---|---|---|
| თფილისს: | ფოშტის დილის | 11 საათ. 55 წ. |
| | ჩქარი ღამით | 2 საათ. 57 წ. |
| | სახალხო დილის | 10 საათ. 10 წ. |
| | სახალხო ღამით | 1 საათ. 7 წ. |
| ბათომს: | ფოშტის საღამოს | 5 საათ. 30 წ. |
| | ჩქარი ღამით | 2 საათ. 57 წ. |
| | სახალხო საღამოს | 8 საათ. 35 წ. |
| | სახალხო დილის | 4 საათ. 27 წ. |
| ფოთს: | სახალხო საღამოს | 4 საათ. 14 წ. |
| | სახალხო ღამით | 2 საათ. 57 წ. |
| | სახალხო დილით | 4 საათ. 27 წ. |
| | ფოშტის საღამოს | 5 საათ. 30 წ. |
| | სახალხო საღამოს | 8 საათ. 35 წ. |
| შორაპანს: | საგარაკო საღამოს | 5 საათ. 00 წ. |
| ტყიბულს: | სახალხო დილის | 6 საათ. 20 წ. |
| | სახალხო საღამოს | 4 საათ. 20 წ. |

ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან: | ფოშტის საღამ. | 6 საათ. 57 წ. |
| | ჩქარი ღამით | 3 საათ. 50 წ. |
| | სახალ. საღამოს | 9 საათ. 44 წ. |
| | სახალხო ღამით | 5 საათ. 50 წ. |
| ბათომიდან: | ფოშტის დღით | 1 საათ. 25 წ. |
| | ჩქარი ღამით | 3 საათ. 50 წ. |
| | სახალხო დღით | 11 საათ. 22 წ. |
| | სახალხო ღამით | 2 საათ. 23 წ. |
| ფოთიდან: | სახალხო დილით | 10 საათ. 3 წ. |
| | ფოშტის დღით | 1 საათ. 25 წ. |
| | სახალხო ღამით | 2 საათ. 23 წ. |
| | სახალხო ღამით | 3 საათ. 50 წ. |
| შორაპნიდან: | საგარაკო დილ. | 9 საათ. 18 წ. |
| ტყიბულიდან: | სახალხო საღამოს | 7 საათ. 39 წ. |
| | სახალხო დილით | 9 საათ. 38 წ. |

სტამბა „ძმობა„, პუშკინის ქუჩა სახლი გოკიელოვის.